



ჩრდილი გზაზე



გაერ სულაერის
გამომცემლობა

„ლევანი: მაშ, მე გაგაცნობთ ჩვენს დედაქალაქს. მე აქ ოთხი წელიწადი ვსწავლობდი. შემდეგ დიპლომი მივიღე, მაგრამ თბილისში დარჩენა ვერ მოვახერხე. დამტოვეს იმ დასაქცევ რაიონში. უნდა გამოგიტყდეთ, მომბეზრდა ყველაფერი... ეჰ... თბილისს გაუმარჯოს, ჩემო ნინო. პირდაპირ ოცნებად გადამექცა.“

„ჩრდილი გზაზე“, 1956 წ.

„ვიქეიფოთ ასე, ფული მიგვიცია,
გინდა იყოს ცეკა, გინდა მილიცია.“

იმთა დროთა ქალაქური სიმღერიდან

ოდესღაც, ჯონი ვაისმიულერის მოულოდნელი ყივილი ალაფრთოვანებდა ყმანვილებს. ის ლიანებს ეჭიდებოდა, გაქანდებოდა და ასე დაფრინავდა ჯუნგლებში, ხიდან ხეზე.

ეს იყო ტარზანი.

ეს იყო ნაალაფარი ფილმებიდან ეკრანებზე შემოვარდნილი მთავარი კაცი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თბილისის მოზარდებს ჰანტელების ინტერესი გაუჩინა.

არა, სტალინური დროება ისედაც მასობრივი სპორტის დიდი მოსიყვარულე გახლდათ და ჯანსაღი ცხოვრების წესისაც, მაგრამ ტარზანმა კუნთების დაყენების საკითხს მაინც სხვა ელფერი მისცა. სად ზემოდან რომ გიბრძანებენ, თუ ლაგერში არ ჭრი ხეებს, აქ მისდიე ფიზკულტურასო, და სად, როცა შენით, ამ მოულოდნელი პერსონაჟის ხილვით აღტაცებული გადანყვეტ, ხიდან ხეზე უნდა გადავხტე და ამისთვის კი ღონიერი მკლავები მჭირდებაო.

მგონი, საბჭოთა კავშირის დაშლის დღემდე განთქმულ ხაზის რადიოთი ყოველდღიურად გადმოიციე-მოდა დილის გამამხნეველელი ვარჯიში, სადაც სველი პირსახოცით ზელაზეც კი იყო ლაპარაკი. მხნე მუსიკის თანხლებით მიმდინარე ამ ჯანსაღი გადაცემის ტექსტი სუნთქავდა წარსულის განუმეორებელი ხმოვანებით. ეგებ ის ორმოცდაათიანი წლების მიწურულსაც კი იყო

ჩანერილი და მოსდევდა რომანტიკული თეატრის ეპოქის ძალუმი სუნთქვა. მერე, ასეთივე ვარჯიშები ხილული იყო ცენტრალური ტელევიზიითაც და უმეტესად ნორჩი ტანმოვარჯიშეების და მათი ინსტრუქტორების მონაწილეობით მიმდინარეობდა. მერე, გორბაჩოვის დროს, ამ ვარჯიშობას აერობიკა ჩაენაცვლა, როგორც უფრო თანამედროვე ამბავი, ქალთა მოულოდნელი, ამერიკული ხტომა. ვინმენი კი ამ მეაერობიკე გოგოებს მუშტრის თვალით უყურებდნენ, დამახსოვრებულნიც კი ჰყავდათ, ისევე, როგორც საყოველთაოდ დამახსოვრებული რუსული „ძილი ნებისა პატარებოს“ წამყვანი ნონია ტანია, რომელსაც აქეთ-იქით სტეპაშკა და ხრუშა ესხდნენ, მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის, ისევე ტარზანის ეპოქას მივუბრუნდეთ, ანუ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისს.

ცხადი ის იყო, რომ დილის გამამხნეველებელი ვარჯიშით კუნთებს ვერ დაიყრი, ამასობაში კი ტფილელი რაფაელ ჩიმიშკიანი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ძალოსნობაში და ტარზანის მხარბეჭი კიდევ უფრო მეტს მოუწდა.

იმ დროის ფილმებში დაკუნთული, მოვარჯიშე ბიჭი ყოველთვის დადებითი იყო, გამხდარი, მოდურად ჩაცმული და თავმომწონე კი, რასაკვირველია, უარყოფითი.

ასეთი იყო ქვეყნის ძალმოსილ ღრუბელთაგან წამოსული სიტყვა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი, ერთ-ერთი ის ამბავია, კომუნისზმამდე რომ მიგვიყვანს. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ძევს! – ამბობდა ლოზუნგი და სწორედ იმ უბედურ და სრულად სამარცხვინო დღემდე იმეორებდა ამას, როცა დეზერტირის ბაზარში სამბოს ჩემპიონმა ერთი დარტყმით მოკლა პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე, რომელიც ამ სამბისტისგან

შენუხებულ გოგონას გამოესარჩლა. ოღონდ ეს წლების მერე იყო. იმ დროს ტარზანი აღარავის ახსოვდა.

აღბათ სწორედ „ტარზანი“ იყო პირველი ფილმი, რომელმაც გამოიწვია იმიტაცია. გამოიწვია კი არა, აღბათ გამოაცოცხლა, შეახმინა ცხოვრების სხვა სფეროებში არსებულ იმიტაციებს ეს თითქოსდა უწყინარი იმიტაცია. გამოაცოცხლა, ჰო, ადრეც იქნებოდა რამე.

სტალინის დროს საბჭოთა კავშირში ძალიან ცოტა ფილმებს იღებდნენ, წიგნებს კი განუზომლად მეტს წერდნენ. სტალინი უყურებდა თითქმის ყველა საბჭოთა ფილმს, რომლის გადაღების დასრულების შესახებაც ამბავი მიუვიდოდა. მათ გადაღებამდე კი, მგონი, კითხულობდა თითქმის ყველა სცენარს, რომელიც აინტერესებდა. სტალინი კითხულობდა ყველა რომანს, მემუარს, თუ პოეტურ კრებულს, რომელსაც მისი სახელობის პრემიაზე წარუდგენდნენ.

რამდენი დრო ჰქონია!

ახლა ვილას შეუძლია რომანები იკითხოს, თან ისეთი, როგორებიც მაშინ იწერებოდა: საბჭოთა სქემებით, სოციალისტური რეალიზმი რომ დაარქვეს. სტალინი კითხულობდა, მისი აზრით, მნიშვნელოვან, დაკვეთილ პიესებსაც კი, ასწორებდა მათ, მერე ამ ჩასწორებულებს თავადვე ანიჭებდა პრემიებს.

სტალინს ნანახი ჰქონდა „ტარზანიც“!

მოკლედ, „ტარზანით“ ყველა აღფრთოვანდა. როგორც ამნაირ ქვეყანას და დროს შეშვების, იმას, რამაც გავლენა მოახდინა, მოჰყვა ერთგვარი ურბანული ფოლკლორიც, ნაირგვარი შაირები, აღტაცება მაიმუნ ჩიტათი და სხვა ათასი რამითაც. „მართალია, ჯენს უყვარდა ტარზანი, მაგრამ მაინც გადაუჭრა ბანარი!“ – ამბობს იმ დროის ხალხური ლექსი.

საკუთრივ ედგარ რაის ბეროუზის რომანების სერია ტარზანზე საბჭოთა კავშირში არ გამოუციათ, 1932 წლის შემდეგ უცხოური წიგნები იშვიათი ამორჩევით იბეჭდებოდა და ბეროუზის იაფი და იდეურ-პოლიტიკურად არაფრისმთქმელი სათავგადასავლო რომანები ვილას გაახსენდებოდა.

მერე და მერე ვინ აღარ წერდა ტარზანზე, მაგრამ საბჭოთა კავშირს ეგ ასევე არ შეხებია. კინო „ტარზანიც“, სიმართლე ითქვას, ალბათ დიდად არაფრად შეეხო ვინმეს, იმის გარდა, რომ უცხოური იყო და ომის შემდეგ ამ გასართობი ფილმების ჩვენება, როგორც მუქთა მონაპოვრისა, რატომღაც დაუშვეს. რატომღაც კი არა, ესეც დიად ღრუბელთაგან წამოსული მითითება იყო, ომის შემდეგ ხალხს გართობა სჭირიაო.

ამიტომ გერმანულებსაც კი ბოლო ცვეთამდე ატრიალებდნენ, სადაც მარიკა როკი ისეთ წიხლებს აჰკრამდა, თქვენი მოწონებული. ტარზანმა კი თბილისის ეზოებში გააჩინა ყმანვილთა ყივილი და ხიდან ხეზე ხტომა.

კი, მაშინ თბილისის ეზოებში ხეები ხარობდა. ჯერ გარაჟებით არ შეეცვალათ და მანქანებიც იმდენი არ იყო, რომ ხეებს იმათთვის ხელი შეეშალა. თუთის ხე ყველგან ამოზრდილიყო, საერთოდ ყველგან. სხვაც, ზოგი რას დარგავდა, ზოგი რას, პარტიზანულადაც და უპარტიზანოდაც. ოღონდ, თუთის ხეები მაინც საერთო ეზოს არსებობის საბუთივით იყო. ამიტომ ტარზანივით ხიდან ხეზე ხტომა ჯუნგლების გარეშეც შეიძლებოდა. ბუნების მოფრთხილება დიდ საჭირო საქმედ ითვლებოდა, თუ, რა თქმა უნდა, იმ ბუნების სურათების მოშობა სახელმწიფოს არ დასჭირდებოდა მოულოდნელად.

სახელმწიფოს კიდეც ვინ რას შებედავდა.

ერთხელ ერთი ჩემი კლასელი ვაკის პარკში მისდგომოდა ერთ ხეს და ღრუტინდა გასართობად, იმ დროში ცნობილი დასაკეცი დანით, რომელსაც „ლისიჩკას“ (ქუთაისურად – მელიადანას) ეძახდნენ, რახან შავ ტარზე გაქცეული მელია ამოეტვიფრათ, ხანდახან კი ციყვი.

მავანმა პენსიონერებმა ხესთან ასეთი უპატივცემულო შეხებისთვის ისეთი ამბავი ატეხეს, რომ იქიდან ბრძოლით დავიხიეთ უკან.

ასე რომ, მაშინ ხეები მეტი იყო, ვიდრე რესტორნები, რაცა ახლა, მგონი სადაო საკითხია. ყოველ შემთხვევაში, გაჯიბრება შეიძლება.

თუმცა, „ტარზანი“ იყო ბევრად ადრე, ვიდრე მოზარდებს უცნობი პენსიონერები შეგვახსენებდნენ, რომ ბუნებას უნდა გავუფრთხილდეთ. მაგრამ ეს მხოლოდ ბუნების ამბავი არ იყო. ნეტავ, მხოლოდ იმისი ყოფილიყო. ზოგადად იყო რაღაც მოულოდნელი კასტა ასაკოვანი ადამიანებისა, რომელიც ქუჩაში ბრაზით მოგინოდებდა წესრიგისკენ.

ჩემს უბანში ასეთი სამი ნამდვილად მახსოვს. ისინი არც „დრუჟინიკები“ იყვნენ და არც რამ საზოგადოებრივი დატვირთვა შემოედო მათთვის სახელმწიფოს კისერზე, მაგრამ წესრიგის ხალხი გახლდათ და აუცილებელ მითითებას აწვებოდნენ, თან კი იმის აღნიშვნასაც, რასაც ჩვენ ვერასდროს გადავიხდით.

ეს იყო ომი. დიდი სამამულო, ახლა მეორე მსოფლიო.

ჩვენ სულ შეგვახსენებდნენ ხოლმე, რომ აი, ეს უღრუბლო ცა ვალად გვადევს. როგორღაც ასე გამოდიოდა.

ოთხმოცდაათიან წლებში და მერეც ეს სახუმარო ამბად იქცა, იმდენი გვეძახეს, ომი თქვენ არ გინახავთ,

არაფერი გადაგიტანიათო, გაჭირვება არ გინახავთო, რომ ათი იმდენი მოაწიეს ჩვენს თავზეო.

ეს თქმა, შეხსენება იმისთვის, რომ ჩვენ ბედნიერი ბავშვობა და ახალგაზრდობა გვექონოდა, სადღაც, ოდესღაც, სისხლი დაიღვარა, მართლა იმდენად ხშირი იყო, რომ მერე და მერე გამოირკვა, რომ იმ დროის ბავშვს, ლამის ყველას ჩავვრჩენოდა გულში.

რა თქმა უნდა, ეს ომი, „სადღაც და ოდესღაც“ არ იყო, იყო დიდი და ტრაგიკული რაღაც და არც ყველა გვახსენებდა ამის შესახებ, მაგრამ ქუჩაში თუ გავხალისდებოდით, ამ შეხსენების შესაძლებლობა მკვეთრად იზრდებოდა.

უკვე არეულობის წლებში, როცა თბილისის ქუჩაზე უცებ გამოჩენილ ავტობუსში შეღწევას არ ჰყოფნიდა სიჩაუქე და ჯომარდობა, იღბალიც აუცილებლად სჭირდებოდა, მგზავრობისთვის ფულის გადახდა ჭირდა და ერთი ჩემი ამხანაგი შეესწრო, როგორ აუტყდა მძღოლი ერთ ხნოვან კაცს, ფული გადაიხადეო, იმან კი მრისხანედ და ამაყად მიუგო:

– მე უკვე გადავიხადე!...

– როდის გადაიხადეო, – მძღოლი ნამდვილად არ დათმობდა.

– ორმოცდასამში, სისხლით, – იყო პასუხი.

ეჰ, სხვა დრო იყო. ის დრო ვეღარ იყო, როცა ორმოცდასამში გადახდილები აღარ ჭრიდა, რადგან იმისთვის, რომ სისხლით გადაგეხადა რაღაც, შორს წასვლა საჭირო აღარ იყო. სრულიად უმიზნოდ, არაფრისთვის გადაიხდიდი, ვთქვათ, მეტროს სადგურ „მარჯანიშვილში“, თუ ვილაცას უშნოდ მოხვდებოდით თვალში უფრო შეღამებულისკენ.

მაშინ უკვე აღარ მოქმედებდა დიდი სამამულო ომის

ვეტერანთა შეღავათები, რაც საბჭოთა კავშირში ასეთი თვალში საცემი იყო, რადგან საბჭოთა კავშირი იყო რიგის ქვეყანა. ვეტერანს კი, ომისასაც და შრომისასაც, შეეძლო ურიგოდ ეყიდა, ურიგოდ გაეველო, ურიგოდ შესულიყო.

რა აოცებდათ საბჭოეთის სლავური რესპუბლიკებიდან საქართველოში სტუმრად მოსულ იქაურებს და, მაღაზიებში, სასადილოებსა და რესტორნებში რიგის არარსებობა.

რა აოცებდათ საბჭოეთის სლავურ მინებზე მოხვედრილ ქართველებს და, რიგები. თუმცა, ამის ორმხრივ გაოცებათა მიზეზი ის ნამდვილად არ იყო, რომ ჩვენებს ვითომდა იმგვარი მოხერხებულობით აეგოთ მომსახურეობის სისტემა, რომ ის რიგების არსებობას გამოორიციხავდა.

უბრალოდ, თბილისში, დიდი რუსული მუშათა ქალაქებისგან განსხვავებით, ძეხვი არ იყო მთავარი საკვები და ძეხვების უმრავლესობა, ერთი-ორის გამოკლებით, მეტად საექვო იერით იმზირებოდა დახლებიდან და მათ საყიდლად რიგშიც არავინ იდგა ხოლმე.

თუმცა კი მთავარი შოკი ძეხვებში კი არ იყო, არამედ სასმელით დახუნძლულ თაროებში. აი, თუ რამეზე იყო რიგი, თერგს რომ გადასცდებოდი, არაყზე იყო. სასმელის მაღაზიის რიგი, ზოგადად სასმელის რიგი, დიდი საბჭოთა სურათი იყო. მასზე რომანებია დაწერილი. ისე რიგებზეც, და არყის რიგებზეც.

რაც მე დახლების მახსოვრობა გამოიმეკვეთა, იმ დროს თბილისში თაროებზე ეწყო უამრავი უვარგისი ღვინით სავსე ბოთლი. იმათ შორის პოპულარობით გამოირჩეოდა „გარეჯი“, რომლის გამოც ამბობდნენ, ორი ბოთლი ჯარიდან ტოვებსო. ანუ, ინამლები და გა-

კომისია ვებენო. „გარეჯს“ სტუდენტობა და ქალაქის ხელმოკლე ლოთნი თუ ეტანებოდნენ. ხალხი უმეტეს სახლის ღვინოს სვამდა.

იმ სამოცდაათიანების და ოთხმოციანების დახლებზე კარგი ღვინოებიც იყო. ისე როგორ იქნებოდა, „შუამთაო“, „სამებაო“, „რქანიტელიო“ და საერთოდ, მთელი ეს ჩვენი ცნობილი ღვინოებიც, სამარკოო, თუ როგორ ეძახდნენ, მაგრამ აი, არ მახსოვს, რომ სახლში სადმე ბოთლის ღვინით ყოფილიყოს სმა. ღვინო მაშინ ბოცით მოძრაობდა.

ჰოდა, უკვირდათ-მეთქი, არყის ბოთლები ხომ მწკრივებად და სრულიად ურიგოდ შესცინოდნენ სახეში ჩრდილოელ ტურისტებს. ზაფხულობით სახინკლეების ლუდს ნყლის გემო დაჰკრავდა ხოლმე, ბოთლის ლუდი მალე იმღვრეოდა, მაგრამ ეს ყველაფერი იყო და, აბა, ვინ არ გამოტენიდა ჩემოდანს.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ რაც არ უნდა გაქაჩულიყო თბილისი, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ აქა ცხოვრობს, საქართველო მაინც სოფელზე მიბმული ქვეყანა იყო და სოფელი კი ნიშნავდა არა მხოლოდ ბაზარს, სადაც შეისყიდდა ხოლმე სარჩოს ჩვეულებრივი ქართველი, არამედ იმასაც, რომ თბილისში მცხოვრებ სამიდან ორ ქართველს სოფელი ჰქონდა და იქა ჰყავდა დედ-მამა, ურიცხვი ნათესაობა, და ვინ აღარ, და იქაური მოსავალიც დიდად შეეხიდებოდა ხოლმე.

მაგრამ ეგ არაფერი, ჩემი ბავშვობიდან და კაი ხანს, საქართველოში სახელმწიფო ტალონები იყო კარაქზე, შაქარზე, ფქვილზე, რაზე აღარ. ასე იყო ბევრ საბჭოთა ოლქში და მხარეშიც. ამიტომ, რიგების არარსებობა საკმაოდ პირობითი იყო.

მეტისმეტი გადაჭარბებით, აქა-იქ საქართველოს საბჭოთა შვეიცარიას უწოდებდნენ, ან ამბობდნენ, რომ უწოდებენო.

ეგებ კურორტების და ზღვისპირეთის გამოც იყო ასე, თუმცა, შვეიცარიის იმ საქართველოს მაშინ იმდენი ეცხო, რამდენიც ახლა სცხია ამ საქართველოს შვეიცარიის.

ესეც არ იყო მთავარი, შემოღობილში რას დაგიძახებენ დიდ საქმედ არა ჩანს.

ისევე ქუჩის მიმთითებლებს მივუბრუნდეთ, უფრო იმ ადამიანებს, რომლებიც დღის პირველი ნახევრის სეანსების დროს კინოდარბაზებში სინათლეს ანთებინებდნენ და იქ სკოლის გამცდენ ყმანვილებს ეძებდნენ ხოლმე.

იყო საზოგადოებრივ წესრიგზე ზრუნვის რალაც სისტემები, რომლებსაც საქართველოდან ჩრდილოეთით უფრო დიდი გასავალი ჰქონდა, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ იმ დროის მთელი საქართველო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩოხის მარცხენა საქილეზე იყო დაფიციებული გაუტეხლობის და დამპყრობელთან შეურიგებლობის ფიციით, რადგან ეს უბრალო და დიდი ტყუილი იქნება. საერთოდ არავინ იცოდა, ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. კი, იცოდა, ვინც იცოდა, მდუმარედ, მაგრამ ხალხში ეს არ იყო.

ბავშვობიდან ასე ვსწავლობდით, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან გაიწვიეს შვიდას ათასზე მეტი ადამიანი, რაც გაუგონარი ციფრია ასეთი პატარა ქვეყნისთვის და მოსახლეობის ოდენობასთან შეფარდებით ეს უდიდესი პროცენტული მაჩვენებელია. ამ განვეულთაგან 400 ათასზე მეტი დაიღუპა. „დაიღუპა“-ს ნაცვლად, უფრო ეწერა ხოლმე „ შინ არ

დაბრუნებულა.“ ლირიზმს მატებდა ამ უბედურებას, თუ რა იყო, არ ვიცი.

სტუდენტობის დროს კი მცოდნე უფროსთაგან გა-მეგონა, რომ საქართველოში კომუნისტური პარტიის წევრად არის სამასი ათასზე მეტი ადამიანი, რაც ისევე, როგორც ომში განვეუღტა რაოდენობა, პროცენტულად უდიდესია საბჭოთა კავშირში.

ამიტომ, არანაირი ფიცი არ ყოფილა. თუ იყო რამე, იყო ბებიების და ბაბუების მოთხრობები სხვა დროის შესახებ და არ მგონია, რომ დედები და მამები დიდი მონონებით ისმენდნენ ამბებს, რომლებსაც მათი მშობ-ლები ნორჩებს უზიარებდნენ.

ამასობაში კი უნდა გცოდნოდა, რომ ის სამასი ათასი კომპარტიის წევრი ან მათი სრული უმრავლესობა, ტყუილად, პირადი გამორჩენის მიზნით იყო პარტიაში და კომუნიზმისა არ სჯეროდა, რადგან კომუნიზმი სი-სულელეა, მაგრამ ცხოვრება საჭიროა.

ეს ერთგვარი თამაშის წესების ნაწილი იყო და ყველამ იცოდა, თვით ქურდმა ლიმონა დევდარიანმაც, ნოდარ დუმბაძის რომანიდან „თეთრი ბაირალები“, რომელიც ამბობდა: შობელძალდი ვიყო, თუ თქვენს ხელში სახელმ-ნიფო არ მეცოდებოდესო. ლიმონა ამას გაფლანგვაზე დაჭერილ ქართველ საქმოსანს ეუბნებოდა.

სიმართლე რომ ითქვას, ბავშვობაში მინახავს ნამდ-ვილი კომუნისტები, უკვე მოხუცები, რომლებსაც არც მარქსიზმში განსწავლულობა ეტყობოდათ დიდად, არც სხვა რამ ფილოსოფიური, მაგრამ ცხადი იყო, რომ ნამ-დვილი კომუნისტური წრთობისანი იყვნენ.

იმათ ძველი, სტალინური წესრიგისა ჰქონდათ გამო-ყოლილი, კანონს პატივს სცემდნენ და მეტად პატიო-სანნი იყვნენ იმ დროისთვის. ეგებ რალაციით ჰგავდნენ

კიდევ იმას, სტალინმა რომ თქვა: ჩვენ, კომუნისტები სხვაგვარი ცომისგან ვართ მოზელილნიო.

ესენი გულნატკენი ადამიანები იყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ყველაფერი არასწორად ხდება, რომ ქვეყანა დაქცეულია და ეს დაქცევა სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო. იმაში, რომ ყველაფერი არასწორად ხდება, შედიოდა ისიც, რომ ადრე პლენუმებზე რომ სოსის გადატეხდი, მისი ხმა გამოლმაც ისმოდა და ისიც, რომ ქვეყანაზე სამართალი აღარ არის. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავარი უბედურება მექრთამეობა, სახელმწიფოს მუდმივი მოტყუება, ნაწარმის უხარისხობა იყო, რაც ალბათ მათივე აზრით, ანადგურებდა იმას, რასაც ისინი ოდესღაც აშენებდნენ.

საქართველო მასობრივი ქრთამის და „ატნაშენიების“ ქვეყანა იყო. ის ისე ურცხვად და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობდა, რომ ამ სიცრუის სიგრძე-სიგანის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ეს იყო ჩრდილის ქვეყანა. მზეში სულ ცოტა და ცოტა ხდებოდა. ამიტომაც არსებობდა ასეთი ქართლური გამონათქვამი, რომელსაც ღიმილის გარეშე ვერ შეხვდებოდი:

– წამაახედა ბიჭსა!

ამას ამოიოხრებდნენ ხოლმე დროული კაცები, ვინაც იმ ბიჭის ხელში იზარდნენ და იწრთვნენ. ამოიოხრებდნენ და გულსაც ამოაყოლებდნენ ხოლმე. ისინი მართლები იყვნენ, პატიოსნებას მისტიროდნენ. ეს მეტად თავისებური პატიოსნება იყო, თუმცა მათ სხვა არ ენახათ. ბიჭი, რა თქმა უნდა, სტალინი იყო და იმას უნდა წამოეხედა საფლავიდან, და რა იხილავდა ამდენ უგვანობას და სიცრუეს, მოწინააღმდეგეობა. მოწინააღმდეგეობა რბილი სიტყვაა. უბრალო მოწინააღმდეგეობას არავინ დაეთანხმებოდა, მოწინააღმდეგეობა საოცნებო იყო იმ ხელით,

რომელიც მხოლოდ სოსოს ჰქონდა. ახლა კი აღარ ის-
მის და მაშინ ხალხში იყო ასეთი შეძახილი: დასახვრე-
ტია! დახვრეტა ნაჩვევი, ძალიან ჩარჩენილი ამბავი იყო.
ჩარჩენილი რა, საბჭოთა კავშირში დახვრეტის მუხლი
სხვა დანაშაულებთან ერთად სახელმწიფო ქონების
დიდი რაოდენობით მითვისებაზეც იყო.

სამოცდაათიანი, ოთხმოციანი წლების საქართველო
ის ქვეყანა იყო, სადაც ადამიანები ქრთამის გულისთვის
იხვრიტებოდნენ. საბჭოთა კავშირი იყო ასეთი, ოლონ-
დაც საქართველოში ამ დასახვრეტი ადამიანების და-
კითხვებს ტელევიზიით აჩვენებდნენ. მერე დახვრეტ-
დნენ ხოლმე.

ვინც დახვრეტას გადაურჩებოდა, ხანგრძლივ ვადებს
იხდიდა. იჭერდნენ, იჭერდნენ და ასამართლებდნენ.
ცვლილება – არანაირი. ქვეყანა კვლავ მისდევდა ამ
ჩრდილში ცხოვრების გზას. არსებობდა გამართული
საქრთამო სისტემები, მაგრამ როგორ გადაიხდი ქრთამს,
თუ ფული არ გაქვს?

არსებობდა სიტყვათშეთანხმება „ფულის კეთება“
და ტერმინი „ლევი“. ეს ლევი, იგივე მარცხენა, ქმნიდა
სიმდიდრეს. იჭერდნენ ქარხნების დირექტორებს, საა-
მქროების უფროსებს, მთავარ ინჟინრებს, ბუღალ-
ტრებს. მაინც იგივე იყო. იჭერდნენ მექრთამეებს, მაგ-
რამ მოსახდენი უკვე მომხდარიყო. ბიჭიც ვერ წამოიხე-
დავდა.

ვინ გაბედავდა, ბიჭო, სამსახურში დაგვიანებას?
ციხე იყო მაგაზე, – ასეთი ამოოხვრაც მახსოვს.

გაბედილიც იყო და გადაბედილიც.

ყოველივე ამგვარ არმოსანონთან ბრძოლას ეწოდე-
ბოდა ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან.

ნეგატიურ მოვლენად ბევრი რამის ჩათვლა შეიძ-